# საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი

## ბრძანება №436

თბილისი „17“ 05 2017 წ

**„საზაფხულო სკოლების“ პროგრამის „დავისვენოთ და ვისწავლოთ ერთად“ დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 31 იანვრის N125 ბრძანებით დამტკიცებული პროგრამით გათვალისწინებული საზაფხულო სკოლის (ხელოვნება, სპორტი, მეწარმეობა) მონაწილეების მშობლების/მეურვეების თანხმობის ფორმის დამტკიცების თაობაზე**

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2004 წლის 21 მაისის №37 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დებულების“ მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „მ“ ქვეპუნქტების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 31 იანვრის N125 ბრძანებით დამტკიცებული „საზაფხულო სკოლების“ პროგრამის „დავისვენოთ და ვისწავლოთ ერთად“ საფუძველზე და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ზოგადი განათლების მართვისა და განვითარების დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2017 წლის 10 მაისის N488108 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ**

1. „საზაფხულო სკოლების“ პროგრამის „დავისვენოთ და ვისწავლოთ ერთად“ დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 31 იანვრის N125 ბრძანებით დამტკიცებული პროგრამით გათვალისწინებული საზაფხულო სკოლის (ხელოვნება, სპორტი, მეწარმეობა) მონაწილეების მშობლების/მეურვეების თანხმობის ფორმა დამტკიცდეს ამ ბრძანების დანართის შესაბამისად.

2. დაევალოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტს ამ ბრძანების გამოქვეყნება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე;

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის.: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. N6).

**თეიმურაზ მურღულია**
**მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი**

# საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

*პროგრამა -- „დავისვენოთ და ვისწავლოთ ერთად“:*

*საზაფხულო სკოლა (ხელოვნება, სპორტი, მეწარმეობა)*

## მშობლების/მეურვეების თანხმობის ფორმა

*გთხოვთ, შეავსოთ გარკვევით და სრულად. არასრულად შევსებული ანკეტა არ განიხილება*

ნაწილი ა

| | გვარი | სახელი |
|---|---|---|
| 1. მოსწავლე: | | |

2. სკოლა:

3. კლასი (ანკეტის შევსების მომენტისათვის):

4. დაბადების ადგილი

5. დაბადების თარიღი (დღე, თვე, წელი):

6. მოსწავლის ასაკი:

7. მოსწავლის პირადი ნომერი:

8. მიუთითეთ ამჟამინდელი საცხოვრებელი ადგილი:

ქალაქი/სოფელი/დაბა:

სახლის ტელეფონი:

მობილური ტელეფონი:

ელ. ფოსტა:

ნაწილი ბ

მშობლები/მეურვეები

| | გვარი | სახელი |
|---|---|---|
| 9. დედა: | | |

მობილური:

სამუშაო ადგილი

10. მამა:

გვარი

სახელი

მობილური:

სამუშაო ადგილი

11. მეურვის შემთხვევაში:

გვარი

სახელი

მობილური:

სამუშაო ადგილი

**ნაწილი გ**

12. საჭიროებს თუ არა თქვენი შვილი სპეციფიურ დიეტას ან მკურნალობას საზაფხულო სკოლის (ხელოვნება, სპორტი, მეწარმეობა) მსვლელობისას? (გთხოვთ მიუთითოთ სხვა შესაძლო სპეციფიური მოთხოვნები, ჩვევები, აუცილებლად გასათვალისწინებელი ინფორმაცია):

13.საკონტაქტო ინფორმაცია განსაკუთრებული შემთხვევისათვის თუ არ ხერხდება მშობლებთან/მეურვესთან დაკავშირება

გვარი

სახელი

კონტაქტი:

მობილური:

**ნაწილი დ**

საზაფხულო სკოლის (ხელოვნება, სპორტი, მეწარმეობა) წესები, პირობები და რეკომენდაციები:

- მოსწავლეები უნდა დაემორჩილნონ საზაფხულო (ხელოვნება, სპორტი, მეწარმეობა) სკოლის წესებს;
- დაესწრონ ღონისძიებებსა და ექსკურსიებს;
- უნდა უზრუნველყონ საკუთარი ოთახების სისუფთავე;
- მოსწავლის მიერ ქონების, აღჭურვილობის, სხვა ფასეულობების დაზიანების შემთხვევაში სკოლა იტოვებს უფლებას მოითხოვოს ზარალის ანაზღაურება;
- მოსწავლეები უნდა იყვნენ ზრდილობიანები თანატოლებისა და პერსონალის მიმართ;
- აკრძალულია ჩხუბი, ყვირილი, ფიზიკური და მორალური შეურაცხყოფის მიყენება;
- სკოლა უფლებას იტოვებს დაითხოვოს მოსწავლე ცუდი ყოფაქცევის ანსპორტული სკოლის წესების შეუსრულების შემთხვევაში, რის თაობაზეც ეცნობება მშობელს, რომელიც უზრუნველყოფს ბავშვის საზაფხულო სკოლიდან წაყვანას;
- პასუხს მოსწავლის ძვირფასი ქონების შენახვასა და მოვლაზე თავად მოსწავლე აგებს, შესაბამისად, გირჩევთ თავი აარიდოთ ძვირფასი ნივთების წამოღებას;
- სკოლა იტოვებს უფლებას გამოიყენოს ფოტო, ვიდეო და აუდიო მასალა მოსწავლის მონაწილეობით საანგარიშო, სარეკლამო თუ სხვა რაიმე მიზნით.
- მოსწავლეს სკოლის მიმდინარეობისას თან უნდა ქონდეს პირადი ჰიგიენის ნივთები, შესაბამისი ტანსაცმელი და ფეხსაცმელი.

*ვადასტურებ, რომ ჩემს მიერ ზემოთ მოწოდებული ინფორმაცია წარმოადგენს სიმართლეს, აგრეთვე გავეცანი საზაფხულო სკოლის (ხელოვნება, სპორტი, მეწარმეობა) წესებს, პირობებსა და რეკომენდაციებს და თანახმა ვარ ჩემმა შვილმა მიიღოს მონაწილეობა საზაფხულო სკოლის (ხელოვნება, სპორტი, მეწარმეობა), რასაც ვადასტურებ ხელმოწერით.*

| | |
|---|---|
| დედის/მეურვის ხელმოწერა | მამის/მეურვის ხელმოწერა |

შევსების თარიღი (დღე, თვე, წელი):